



ა კ ა ლ ი ტ ე ბ ი

ე ნ გ ე ბ ე ბ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქადაგი: შაველა ხაჩიშვილი — რედაქტორი, სამსახურის მიმღები
სურათი: გიორგი გომია — ეროვნული საუნივერსიტეტო ინსტიტუტი



№5, ნოემბერი, 2017



აკადემიკოსი ელიზარ ჯავალიძე

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის
ეროვნულ პროგლობათა
შემსრულებლი უსლიშვილი
კომისიის ანგარიში

ქართველი ერის ვინაობის,
თვითობის და საერთოდ, ყოფი-
ნაარყოფნის პრობლემა დღეს სა-
ოცარი სიმწვავით დგას.

საგანგაშო ის არის, რომ მო-
ძალადე მტერმა სახე იცვალა
და კეთილი ანგელოზის სახით
გვევლინება: ხმლის ნაცვლად,
ნუგბარით სავსე სინას გვანვდის
და ათასგვარ სიკეთეს გვპირ-
დება: თავისუფლებას მოგა-
პოვებინებთო, დემოკრატიულ
ფასეულებებს შეგასწავლითო და
თანამედროვე დროის ვარგისად
გაქცევთო.

თანამედროვე დროის ვარ-
გისობა, მათი აზრით კი სხვა
არაფერია, თუ არა სამშობლოს
სიყვარულზე, ეროვნულ ტრა-
დიციებსა და ფასეულობებზე,
ქართულ მენტალიტეტზე, ზეო-
ბასა და ნამდვილ ადამიანობაზე
უარის თქმა.

აი, ეს არის ის იდეოლოგია,
რომელიც მსოფლიოს წარლვნად
დაატყვედა თავს და პირდაპირ
მიმართულია ქართველი ერის
მოსასპობად.

შეტევა ხორციელდება ძირ-
ითადად ორი: ფიზიკური და სუ-
ლიერი მიმართულებით.

1) ფიზიკურ დონეზე ყვე-
ლაფერი კეთდება, რომ ქართ-
ველი მოსახლეობის რაოდენობა
შემცირდეს: ა) ქართველ დედას
შთააგონებენ, რომ ორ შვილ-
ზე მეტის გაჩენა ცხოველობაა.
ბ) შესაშუალ საოცრად იმატა
კანონიერმა თუ უკანონო აბორტ-
მა. ათასობით ჩვილი დედის მუ-
ცელშივე სასიკვდილოდ იწირება.
გ) მძიმე ეკონომიური პირობების
გამო დიდია ქართველთა გადინე-
ბა და პირუკუ, გაიზარდა უცხო
ტომელთა ჩამოსახლება და დამ-
კვიდრების პროცესი: სულ მცირე
სანში ქართველები თავის სამშ-
ობლოში უმცირესობაში აღმოჩნ-
დებიან.

განუკითხავად იყიდება საქა-
რთველოს სახელმწიფოს სიმ-
დიდორები: გაპარტახდა ფაბრი-
კაქარხნები და ჯართად გაიყიდა.
უცხოელებმა ჩაიგდეს მინისეუ-
ლი სიმდიდრე: მარგანეცი, კვარ-
ციტი, სპილენძი, ოქრო და ა.შ.
იყიდება ქართული მიწები გადამ-
თიელებზე ქართველ გლეხს
მიწა აღარ დარჩა და იძულე-
ბულია, რომ ინდოელისგან თუ
სპარსელისგან იჯარით აიღოს და
დაამუშაოს იგი.

ერთი სიტყვით, ქართველს
თავის სამშობლოში არ დაედ-
გომება. უფრო მძაფრად უტევენ
ჩვენ სულიერებას, რომლის ჩან-
იხვლით სურთ ქართველი კაცის
მენტალიტეტი გარდაქმნან. ამას
ნაწილობრივ ახერხებენ კიდეც
ტვინის გამორეცვის მეთოდით,
რომელიც მყისიერად და ნიჭი-
ერად აითვისა ყველა ტელეარხ-
მა. ქართული ტელეეკრანებიდან

ანტიეროვნული, ანტისახელმწი-
ფოებრივი და ანტიზეობრივი
ყყიყინის მეტი არაფერი არ ისმის.

ძირითად დარტყმას ახორ-
ციელებენ იმ ობიექტებზე, რომ-
ლებიც ჩვენი ეროვნულობის
საყრდენი ბურჯები არიან: 1)
მართლმადიდებლობა, 2) ოჯახი,
3) მწერლობა და ხელოვნება. 4)
განათლება და მეცნიერება, ზე-
მორე ხსენებული დარგების დამ-
ცრობით, დამთობით და განად-
გურებით ცდილობენ ქართული
სულის ჩაკვლას, რაც საბოლოოდ
ქართული ერის სიკვდილის ტოლ-
ფასია.

საგანგაშო ის არის, რომ ეს
თავზარდამცემი წარლვნაგანად-
გურება შემთხვევით არ არის.
ეს კარგად მოფიქრებული და
ნინასნარ დაგეგმილი მზაკვრუ-
ლი გეგმა, რომელიც ისახავს
საერთოდ ერების და მათ შორის
ქართველი ერის განადგურე-
ბას. და რაოდენ საწუხარი არ
უნდა იყოს, იგი შემუშავდა ჩვე-
ნი „კეთილმოსურნე პატრონის“,
გნებავთ, „მეგობრის ქვეყნებში“,
აშშში, სამართლიანობისა და
დემოკრატიის სიმბოლოდ რომ
არის აღიარებული. თუ თვალს
გაუსწორებთ არსებულ რე-
ალობას, დავრწმუნდებით, რომ
დღევანდელ პოლიტიკურ ელი-
ტიას, დაქირავებულ არასამთავ-
რობობებს, ათი ათასობით რომ

შინაარსი:

აკად. ელიზარ ჯავალიძე —
საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის ეროვნულ
პრობლემათა შემსწავლელი მუდ-
მივმოქმედი კომისიის ანგარიში.
ენვერ ნიუარაძე — აკავი შანიძე
აკავი შანიძე — საქართველოს
ეროვნული ჰიმნი
გალაკტიონ ტაბიძე — დლიურე-
ბიდან

ჩამოითვლება, ელექტრო მედიას და ბუქებში შემძვრალ ე.წ. ინტელიგენციას ქართველი ერის ეს სიკვდილი არ აღელვებს, და იმის ნაცვლად სამგლოვიარო პანაშვიდზე მწუხარედ იდგნენ, ტაშფანდურს მართავს და სიამოვნებით კრუტუნებს!

ეს ერთობ და მძიმე, მაგრამ კეთილშობილი მისია ერის თვითობის და ვინაობის გადასარჩენად იყისრა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, რომელსაც ქართველი ხალხის, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი იმედია.

აკადემის პრეზიდენტის აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის წინადადებით 2015 წ. 29 ივნისს აკადემიის სამეცნიერო საბჭოს-თან შეიქმნა (ბრძანება N 34. 29.07.1915) „ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია“, (საპატიო თავმჯდომარე სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II, თავმჯდომარე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი: აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, თავმჯდომარის მოადგილე ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პასუხისმგებელი მდივანი აკადემიკოსი ელიზ-ბარ ჯავალიძე).

კომისიამ 2015-2017 წ.წ. ჩაატარა 16 სხდომა, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ერთობ მნიშვნელოვან პრობლემების შესწავლაშეფასებას: ამათგან გამოვყოფთ ზოგი-ერთს.

პირველ სხდომაზე (17.09.2015) კომისის წევრმა არმენოლოგ-მა ბონდო არველაძემ წაიკითხა მოხსენება: „საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. სომხური ეკლესიების შესახებ“ კერძოდ, განხილულ იქნა სომეხთა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვრის ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის გაუგონარი პრეტენზია საქართველოში 442 ქართული ეკლესიის სომეხთათვის მიკუთვნების თაობაზე.

სხდომაზე გამართული კა-მათის და მსჯელობის შედეგები

და კომისის თვალთახედვა და პოზიცია გადაეგზავნა პრემიერ მინისტრის კანცელარიას, რა-საც მოჰყვა მყისიერი რეაქცია და გაიმართა რელიგიის საკითხ-თა სახელმწიფო საგენტოს სამი სხდომა, რომელსაც ესწრებოდა ამ საკითხით დაინტერესებული მრავალი ორგანიზაცია. შედე-გად, სომეხი ეპისკოპოსის პრეტენზია არაკეთი აღმოჩენითი ცურად და არაობიერტურად იქნა მიჩნეული.

იმავდროულად, ამ პრობლე-მასთან დაკავშირებით ბონდო არველაძემ დაწერა მონოგრაფია „ქართული ეკლესიები საქართ-ველოში და სომხეთში“, სადაც მეცნიერულ დონეზე შესწავლილია ეს საკითხი და სათანადო პა-სუხია გაცემული ამ უსაფუძვლო პრეტენზიაზე.

კომისიის ინიციატივით თა-ვის დროზე აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რუსულ ენაზე გამო-ქვეყნებულა ნაშრომი „ისტორი-ული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის გამო“ წელს (2017) ითარგმნა ქართულად და ახლა მზადდება ამ ნაშრომის ინგლისური ვერსია. ნაშრომში საკადრისი პასუხია გაცემული რუსი ავტორის ნ. ტოკარსკისთ-ვის, ვინც ერევანში გამოცემულ თავის წიგნში „ძველი სომხეთის არქიტექტურა“ (1946) ქართული ტაოკლარჯეთის ქართული ტაძ-რები: ხახული, ბანა, იშხანი, ოპი-ზა და სხვ. სომხური კულტურის ძეგლებად გამოაცხადა და მთელ ტაოკლარჯეთთან ერთად სომხების გადაულოცა.

ჩვენი კომისიის ინიციატივით წელსვე სრული სახით (საქართველოს რუკის დართვით) გამოიცემა ივანე ჯავახიშვილის უბადლო ისტორიული ნაშრომი „საქართ-ველოს სამზღვრები“: 1919 წელს დამოუკიდებელ საქართველოში დიდი მეცნიერის მიერ წიგნად გა-მოცემული ეს ნაშრომი საბჭოთა ეპოქაში არცერთხელ არ გამო-ქვეყნებულა. გასული საუკუნის 90-იან წლებში თეორიულად და-მოუკიდებელ, სინამდვილეში კი დამონებულ და განენილდაგლე-ჯილ საქართველოში აღნიშნუ-

ლი ნაშრომი ორჯერ გამოიცა, მაგრამ, სამუშაოდ, ნაკლუ-ლევანი სახით.

აქვე შეიძლება ვახსენოთ პროფესორ გურამ გოგიაშვილის მოხსენება (30.07.2016) „ქართ-ველთა ფობია რუსეთში“. რომე-ლიც ეყრდნობა ავტორის მრა-ვალწლიან გარჯის შედეგად მოპოვებულ მასალებს, ორ ტო-მად გამოცემულს რუსულ ენაზე. მზადდება ამ ტომების ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ერთობ საგულისხმო იყო პროფესორ დენიზა ზუმბაძის მოხსენება (14.10.2015) რომე-ლიც ეხებოდა მცხეთის მიწების უკანონო გასხვისებასა და მშენ-ებლობის პროექტებს. კომისიის წევრთა თვალთახედვა და წინა-დადებები გადაეგზავნა პრემიერ მინისტრის კანცელარიას და სა-პატრიარქოს. სასიხარულოა, რომ მიწების გასხვისება და მშენებ-ლობის პროცესი შეჩერდა. ხოლო სულ ახლახანს იუნესკოს მიერ მცხეთას დაუპრუნდა სამუზე-უმო ქალაქის სტატუსი, რითაც საბოლოოდ წერტილი დაესვა გალადებულ კადნიერებას და უკანონობას.

ამავე სხდომაზე (14.10.2015) განხილულ იქნა მეორე საკითხიც: „ჰერეთის სახლის მდგომარე-ობის შესახებ“. მომხსენებელმა გიორგი პაპაშვილმა ზოგადად წარმოაჩინა საინგილოს დღევან-დელი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურუ-ლი ვითარება. 6) 27 ოქტომბ-ერს ეროვნულ პრობლემათა მოგვარების კომისიამ ჰერეთის მკვიდრთ მოუსმინა, ჰერეთელი ახალგაზრდების გულისტყივი-ლი გაიზიარა და მთავრობასთან შუამდგომლობა და დახმარება აღუთქვა.

განსაკუთრებული ყურად-ლება მიიპყრო პროფესორ ან-ზორ თოთაძის მოხსენებებმა (22.11.2015) და (16.05.2016) ჩვე-ნი ქვეყნის უმძიმესი დემოგრაფი-ული მდგომარეობის შესახებ. სხდომებზე მოიხაზა გზები ამ მდგომარეობის გამოსასწორე-ბლად. მასალები გადაეგზავნა

სახელმწიფო კანცელარიას.

უაღრესად მნიშვნელოვანია კომისიის დაინტერესება „პანკისის პრობლემებით“ კომისიის წევრები რამოდენიმეჯერ ესტუმრნენ ხეობას და ამ კუთხით რელიგიურ-ეკონომიკურ პრობლემას მიუძღვნეს გაფართოებული სხდომა (20.01.2016). ყურადსალებია ის ფაქტიც, რომ ჩვენი კომისიის წევრები არიან ამ ხეობის ცნობილი, ავტორიტეტული მეცნიერები: (ზაურ გუმაშვილი და ხასო ხანგომვილი). ვფიქრობთ, ჩვენმა აქტიურობამ ჩვენი ხელისუფლების ამ კუთხისადმი ყურადღება უფრო გაზარდა.

ასევე ფრიად საგულისხმოა, რომ გაიმართა აკადემიასთან არსებული მიწის შემსწავლელი კომისიისა და ჩვენი კომისიის გაერთიანებული სხდომა (25.01.2016). რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა საპატრიარქოს ჯგუფი აღავერდელი მიტროპოლიტის დავითის თავკაცობით. კვლავაც კამათის და განსჯის საკითხი გახლდათ მცხეთის სივრცობრივი დაგეგმარება და მართვა. შეჯერებული თვალთახედვა გადაეგზავნა საპატრიარქოს და სახელმწიფო კანცელარიას.

დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ პაატა გიორგაძის მოხსენებამ „საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების კონცეფცია-პროგრამა“ (15.04.2016). ამ უდავოდ არაორდინარულ მოხსენებას ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა და გამახვილებული ყურადღების და ფართო მსჯელობის საგნად იქცა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა, დარგის ექსპერტებმა და სპეციალისტებმა. დასკვნა და დადგენილება გადაეგზავნა სახელმწიფო კანცელარიას, რომელიც მან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროზე გადამისამართა. მოგვიანებით სამინისტროდან კომისიაში შემოვიდა უარყოფითი

პასუხი, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ალნიშნულ კონცეფციაპროგრამაში ხელოვნური აბურდულობის შეტანის მცდელობა.

კომისიის სხდომებზე სხვა პრობლემური საკითხებიც იქნა განხილული. დიდი რეზონანსი ჰქონდა ლევან ვასაძის მოხსენებას „ამის თქმის ყველას ეშინია“ (20.02.2016). ყურადღება მიიჰყრო თამაზ ტყემალაძის მოხსენებამაც „საზოგადოებრივი არხის საპროგრამო გადაცემები და ქართული საზოგადოების დამოკიდებულება“ (18.12.2015).

არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა 2017 წლის სხდომები. წლეულს პირველი სხდომა (27.01.2017) სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში არსებული პრობლემების დახვენას მიეღვნა. მომხსენებლებმა: გელა ლლილვაშვილმა და ორინა ფხოველიშვილმა, მდიდარი თვალსაჩინო მასალის ფონზე, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელისშემსლელ პირობებს გაუსვეს ხაზი და განსაკუთრებით გამოყვეს ქართველი ფერმერები, რომელთაც ბევრი მოულოდნელი წინაღობის გადაღახვა უწევთ.

მიწის საკითხებში არსებულ პრობლემების შესწავლის და მისი უცხოელებზე გაყიდვის ერთხელ და სამუდამოდ აკრძალვის აუცილებლობას შეეხო თავის საინტერესო მოხსენებაში (25.04.2017) მომხსენებელი გელა ლლილვაშვილი და განხილვასაც მეტად ცხარე კამათი მოჰყვა. დასკვნები და გადაწყვეტილება სახელისუფლებო სამსახურებს გადაეგზავნათ და რა რეაგირება მოჰყვება მათ ეს საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების და გამოქვეყნების შემდგომ გაირკვევა

უაღრესად საინტერესო და იმედისმომცემი გამოდგა ეკოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი კომისიის ერთერთი წლევანდელი სხდომა (17.05.2017). მოხსენება „საქართველოს ეკოლოგია და ქვეყნის

განვითარების პერსპექტივები“

გააკეთა აკადემიის პრეზიდენტიმა გიორგი კვესიტაძემ. მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალის ფონზე მან წარმოაჩინა საქართველოს დღევანდელი მძიმე ეკოლოგიური პრობლემები და დასახა მათი დაძლევის გზები. სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნება და უზარმაზარი ეკოლოგიური პოტენციალი გააჩინია. რომ ჩვენში 29 ნიადაგობრივ-კლიმატური ზონაა და 6350 სახეობის მცენარე ხარობს, რომელთა-განაც 1200 ენდემური, ანუ ადგილობრივი წარმოშობის ჯიშია, მაშინ, როცა ალპებში მცენარეთა 4500 სახეობა გვხდება და მათგან ენდემური მხოლოდ 350 სახეობაა. ჩვენი ლვთიკვურთხეული ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას უმნიშვნელოვანესი ცილების შემცველი საკვები სოკოს 7000 სახეობის არსებობაც ადასტურებს (შედარებისთვის: ტერიტორიულად საქართველოს ათჯერ აღმატებულ უკრაინაში საკვები სოკოს სულ 1500 ჯიშია). მომხსენებელი შეეხო აგრეთვე მწვანე ფილტრის ტექნოლოგიას, რასაც დიდი დრო და ძალა შეალიეს ჩვენმა მეცნიერებმა. შედეგად ჩვენში დამუშავდა მისი გამოყენების მრავლისალმთქმელი მეთოდი, რომელიც დედამიწის ეკოლოგიური შესაძლებლობების სამჯერ გაზრდის საშუალებას იძლევა. შესწავლილ იქნა მიკროორგანიზმები და აქტიური შტამები. გაკეთდა შედარება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რაც მცენარეთა სახეობის ზემოთ მოტანილი ციფრებიდანაც მოჩანს. ყოველივე ეს ინოვაციურ ბიოტექნოლოგიებს წარმოადგენს და მათი გამოყენება ჩვენს ქვეყანას დიდ სიკეთეს უქადის.

ერთი სიტყვით, ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისია, შეძლებისდაგვარად დგას საქართველოს და ქართულის სადარაჯოზე, ერის სატკივარს აანალიზებს და ხანდახან მიძინებულ ხელისუფლებას აფხი-

ზღუდებს.

დასასრულ, მაინც უნდა ალინიშნოს, რომ ჩვენი კომისიის დიდი მცდელობის მიუხედავად, ქართველი ერის ყოფნა არყოფნის პრობლემა არა არის ხერხემალში გადატეხილი. რაოდენ სანუხარიც არ უნდა იყოს, ის ქვეყნის და ერის დამანგრეველი პოლიტიკა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ედუარდ შევარდნაძემ და მერმე ამ საძირკველზე ჩვენი სამშობლოს უბედურების ცათამბჯენად აღმართა მიხეილ სააკაშვილმა, დღესაც გრძელდება. ჩვენ გვესმის, რომ ამ გლობალიზაციის წარლვნის და ქარიშხლის ჟამს, ძნელია ნინ ალუდგე იმ უბედურ ტრაგედიას, რასაც ერის სიკვდილი ჰქვია. მაგრამ ამ გამანად-

გურებელ გრიგალს ნაფოტივით რომ აჲყვე და არაფერი იღონო, და ოდენ მავანთა თვალის ასახვევად გარეგნული, ფასადური ცვლილებებით თავი მოიწონო, მიუტევებელი შეცდომა და დანაშაული ჩვენი ერის და ხალხის წინაშე. მით უმეტეს, მაშინ, როცა ჩვენი მეზობელი ქვეყნები გონიერი და წინდახედული მოქმედებით, სულ მცირე, თავის გადარჩენას ახერხებენ.

ამგვარი ინერტულობა, რასაც ავლენს დღევანდელი ხელისუფლება, ხალხი და ინტელიგენცია, იქნება ის ხელოვანი, მწერალი თუ მეცნიერი და, მეტიც, სიძულვილი, რომელსაც ავლენენ ლიბერალური მსოფლმხედველობის პარტიები (ნაცეპი, რესპუბ-

ლიკელები და სხვანი), სრულიად ტელესივრცე რუსთავი ორიდან დაწყებული და ტვ პირველით დამთავრებული, ე. წ. არასამთავრობოები, სინამდვილეში კი ფულს სულით მიყიდული ჯაშუშები, გარდაუგალად ამზადებს ქართველი ერის სიკვდილს და დედამიწის პირიდან მის გაქრობას! ამას კი მომავალი თაობა, თუ კი ასეთი გვეყოლება, არავის აპატიებს. წყევლით მოხსენიებს დღევანდელ ხელისუფლებასაც და ხალხსაც და არც მაღალი ღმერთი შეგვინდობს!

შეისმინეთ ქართველნო, ვისაც ლირსება შეგვრჩა, დღეს ძილქუშის დრო არ არის!

დღეს საგანგაშო ზარის რეკვის და ბრძოლის ჟამია!

ა მ ა ბ ა დ ა რ ნ ი ბ ი


აკაკი შანიძე ბედნიერი კაცი იყო. პირობითად თუ ვიტყვით, პერანგში დაბადებული. ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ 100 წელი იცოცხლა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ მან იცოცხლა 100 წელი და 43 დღე.

1. არცერთ ქართველ, მისი დონის მეცნიერს მისოდენი არ უცოცხლია.

2. იყო თბილისის **ნაირსა-სიბრძნოს** (უნივერსიტეტის) პირველდამაარსებელთა შორის (1918).

3. საჩინოებდა (ფიგურირებდა) ამავე **ნაირსა-სიბრძნოს** პირველ ცოდინართა (პროფესორთა) გეზმართვაში (კოლეგიაში). 1917 წლის 26 ჭერნბიდან (ნოემბრიდან), ვიდრე ნაირსა-სიბრძნოს გახსნამდე, ცოდინართა გეზმართვის წინასწარ სხდომათა ამწერები (ოქმები) ე.წ. „ძეგლის წერანი“ მის მიერ, მისი ხელით არის დაწერილი.

4. მან პირველმა შექმნა და გამოსცა უდავოდ გზისგამკვალავი ნაშრომი თანამედროვე ქართული ენის პირველი მეცნიერული აღნაგება (გრამატიკა) სახელწოდებით: „ქართული გრამატიკა“, I. მორფოლოგია“



ა კ ა კ ი შ ა ნ ი ბ ი

(14.02.1887 29.03.1987)

(1930), რომელშიც თავის ადრინდელ ბგერულ (ფონეტიკურ) და გარსმცოდნებით (მორფოლოგიურ) ძიებებს მოუყარა თავი. ამით მან მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ახალი **სანერილობო** (სალიტერატურო) ქართული ენის შესწავლას და მის მომავალ კვლევას, რამაც აგრეთვე დიდად განაპირობა ევროპაში ქართული

ენის კვლევაძიების გამოცოცხლებაც. ნაშრომის მეორე, არსებითად გადამუშავებული და შევსებული გამოცემა „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია“ (1953), სრულად ასახავს ქართული სანერილობო ენის აღნაგების გარსმცოდნებით აგებულებას, ფართოდ ნარმოადგენს ქართული ენის

შედგენილობით (სტრუქტურულ) თავისებურებებს. ახალი **თან-რიგების** (კატეგორიების) დადგენასთან ერთად აკაკი შანიძემ შემოილო მთელი რიგი ახალი **ალნაგებითი რქმეულები** (გრამატიკული ტერმინები), რომლებიც დამკვიდრდნენ საერთოდ **ალ-ნაგებით წერილობაში** (გრამატიკულ ლიტერატურაში).

5. 1931 წელს მან კრებულად გამოსცა წლების მანძილზე ადგილებზე მონაძიები და რუდუნებით ჩაწერილი ხალხური მგოსნების (პოეზიის) ნიმუშები, სათაურით „ქართული ხლხური პოეზია. ხევსურეთი“ და ამით საფუძველი დაუდო ქართული ზეპირსიტყვიერების მეცნიერულ შესწავლას. გადაშლი ამ გამოცემას და დახურვა აღარ მოგინდება.

6. იყო საქართველოს მეცნიერებათა **მაღალსამყოფლოს** (აკადემიის) პირველდამფუძნებელთა მორის (1941).

7. იყო იმ სამ ადამიანს შორის, ვინც 1961 წელს იერუსალიმის ჯვრის **სავანის** (მონასტრის) კედელზე პირველად აღმოაჩინა და იხილა შოთა რუსთაველის **ლესხატვა** (ფრესკა). და ა. შ.

აკაკი შანიძეს ერგო უდიდესი პატივი შეექმნა თანამედროვე ქართული ენის **ალნაგება**. ეს იყო მისი ღვთიური დავალება, და მან ის პირნათლად შეასრულა. ამით მან მოიხადა წმინდა ვალი დედა სამშობლოს და დედა ენის წინაშე. ამ გმირობას ველარავინ ვერასოდეს გაიმეორებს. შეიძლება შეიქმნას ქართული ენის **ალნაგების** სხვა სახელმძღვანელოც, მაგრამ, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს მსგავსი ნაშრომი, ის გვერდს ვერაფრით ვერ აუკლის აკაკი შანიძის წიგნს და, რაც უმთავრესია, ის ვერასოდეს იქნება პირველი. ამ თვალსაზრისით აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“ უკვდავი წიგნია და მისი შემქმნელი იმ ერთეული ქართველი **მექმების** (ავტორების) რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მე-20 საუკუნეში თავი მოუყარეს ადრინდელ დარგობრივ

ქართველმცოდნეობით (ქართველოლოგიურ) გამოვლინებებს, ისინი მეცნიერულად განმარტეს, განაზოგადეს, ჩამოაყალიბეს, თავიათ ფუძემდებლურ ძიებებსა და განსაზღვრებებს შორეულ, განუმეორებელ წელსურნელებად შერთეს და ერთ უჭინობ თაიგულად შეკონეს.

აკაკი შანიძეს აგრეთვე ჰქონდა ერთი განსაკუთრებული, ღვივნაბოძები ნიჭი. განსხვავებით მრავალთა სხვათაგან ის ურიცხვილად განწილულ ყოველივე ქართულს და ქართველურს ერთ მთლიანობაშიც ხედავდა. მისდარი პიროვნება დღესაც ღვთის საჩუქარი იქნებოდა ჩვენთვის, ვინძლო ჩვენს მიზანდა კარგულ, გაუსაძლის, განქართულებულ ყოფას როგორმე დაკარგული ეროვნული სახის პოვნაში დახმარებოდა.

აკაკი შანიძე დაიბადა 1887 წლის 14 ლხნბას (თებერვალს) ქუთაისის **განშლილობის** (გუბერნიის) სამტრედის **მონაზღუდის** (მაზრის) სოფ. ნოღაში. გარდაიცვალა 1987 წლის 23 კვირტბას (მარტს) თბილისში. სწავლობდა ქუთაისის **კაზმულ** (კლასიკურ) **საგანსწავლოში** (გიმნაზიაში), სადაც ცხრა წლით ადრე შევიდა მიხაკო წერეთელი, უფრო ადრე კი წიკო მარი. მე არ მაქვს ხელთ მისი სასწავლო მოსწრების რომელიმე ფურცელი, მაგრამ, გამომდინარე მეცნიერის შემდგომი მიზანმიმართული ცხოვრებიდან, დაუდალავი მეცნიერული ძიებებიდან და საარაკო შრომის-მოყვარეობიდან, ვფიქრობ, რომ აკაკი შანიძე **საგანსწავლოში** სიბეჭითით გამოიჩინდა, ესმოდა რა სამომავლოდ ცოდნის მყარი საძირკვლის იმთავითვე ჩაყრის გარდაუვალი მნიშვნელობა. 1909 წელს **საგანსწავლოდამთავრებული** მომავალი მეცნიერი პეტერბურგის **ნაირსასპრანძოში** შევიდა აღმოსავლეთის ენათა **განშტოებაზე** (ფაკულტეტზე). რომელიც თავის დროზე წარმატებით დაამთავრა ჯერ წიკო მარმა, შემდეგ კი მისმა მონაფერ ივანე ჯავახიშვილმა. ამ უკანასკნელმა თავის

დროზე პეტერბურგში ჩამოაყალიბა „ქართველ მეცადინთა (სტუდენტთა) სამეცნიერო წრე“, რომელსაც 1911 წელს სათავეში ჩაუდგა **მეცადინი** (სტუდენტი) აკაკი შანიძე. აღნიშნული წრე ეწეოდა სამეცნიერო კვლევაძიებას და ადგენდა ქართულ **ნაშრომთალნუსხვას** (ბიბლიოგრაფიას). არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის **უცილობა** (ფაქტი), რომ წრის სხდომები რუსეთის დედაქალაქში ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. წრემ 1915 წელს თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოსცა სამეცნიერო კრებული, სადაც დაიბეჭდა აკაკი შანიძის ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“. სწავლის გასრულების შემდეგ აკაკი შანიძე პეტერბურგის **ნაირსასიპრანძოში** დატოვეს სამუშაოდ სომხურქართული **სიტყვათმცოდნეობის** (ფილოლოგიის) **სადგომელზე** (კათედრაზე), რომელსაც იმუამად წიკო მარი განაგებდა. ამ ხანებში მას მიწერმოწერა ჰქონდა საზღვარგარეთ სასწავლებლად მყოფ მიხაკო წერეთელთან. ეს უკანასკნელი 26 წლის აკაკი შანიძეზე მეტად მაღალი აზრისა იყო, როგორც ეს მის მიერ ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს:

„**თქვენ კი, ბატონი ვანო, იმიტომ გაქვთ მოპოვებული ღრმა პატივისცემა და სიყვარული ჩვენს გულში, რომ ქართული მეცნიერების ნამდვილი დამწევი ხართ, ქართულად სწერთ, ქართულად კითხულობთ ლექციებს, საქართველოსათვის გინდათ მეცნიერება. ამას გრძნობს ყველა, ამას აფასებს, ესმის ყველას, რომ ასეთი მუშაობის შედეგი იქნება ნამდვილი ქართული მეცნიერების შექმნა, და ბოლოს და ბოლოს ჩვენ მეცნიერებას გამოეცლება ის შემთხვევითი და ქველმოქმედებითი ხასიათი, რომელიც მას აქამდისა ჰქონდა. მთელი შთამომავლობა უნდა აღიზარდოს ამ აზრით, ამ მიზნით, და საქმეც სასურველად დაგვირგვინდება, თქვენი მონაფერები ამ აზრისა არიან პეტერბურგში. თქვენგან აქვთ**

ჩანერგილი ეს დიდი აზრი. მიწერმონერა მაქს ა. შანიძესთან. ისეთი ბიჭი ყოფილა, რომ ერთი ათობდე მაგისთანა ბევრ მნიშვნელოვან სცრელს გაიტანს ჩვენი სამშობლოს სამეცნიერო კვლევის ყანაზე. თორემ გულზედ როგორ არ გასკდები კაცი, ჩვენში მღვდლებიც აღარ კადრულობენ ქართულად წერას და კეკელიძე რუსულად სწერს ქართულ საეკლესიო მეცნიერების შესახებ. (მიხაკო წერეთლის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი. პაიდელბერგი 03.04.1913).

მალე რუსეთში ამბოხდა მხობის (რევოლუციის) ზარმა დარეკა და ქვეყანა აირია. რუსეთში განსასწავლად წასულმა ქართველებმა სამშობლოს მოაშურეს. რუსეთიდან ჯერ მატარებლით, შემდეგ კი გემით „დალანდი“ საქართველოში დაბრუნდა გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც იქ სასწავლებლად იყო წასული, რაც შეუძლებელი შეიქნა. სამშობლოში დაბრუნდნენ თბილისში ნაირსასიპრდნოს მომავალი დამარსებლებიც. მათ პეტერბურგიდან მატარებლის მზიდით (ვაგონით) საქართველოში გამოგზავნეს მომავალი ნაირსასიპრდნოსთვის განკუთვნილი დიდი ხნის მანძილზე რუდუნებით ნაგროვები წიგნები, ქართველ მოღვაწეთა, მათ მორის, აკაკი შანიძის და ოსებ ყიფშიძის პირადი წიგნსაცავები (ბიბლიოთეკები) და სხვ. მზიდე, რომელშიც წიგნები იყო ჩატვირთული, სადღაც როსტოკტაგან-როგის გადასარჩენზე დაიკარგა. აკაკი შანიძეს, ვისაც ამ მზიდის თვალყურის დევნება ევალებოდა, მცდელობა არ დაუკლია, მაგრამ ვაგონს ვერსად მიაგნო. ეს იყო საკმაოდ მძიმე დარტყმა განზრახული საქმისთვის, მაგრამ ამან დამარსებლთა მისწრაფება ვერ შეაჩერა და ვერც შეაჩერებდა, რადგან ნაირსასიპრდნოს შექმნის მეტად რთულ გზაზე მათ ამ დროისთვის უკვე არაერთი წინააღმდეგობა ჰქონდათ გადალახული. განსაკუთრებით ძნელი და მტკიცნეული გამოდგა იმ ქართველ მოღვაწეთა წინააღმ-

დეგობის დაძლევა, რომელიც ქართული ნაირსასიპრდნოს შექმნის აზრს დაუპირისპირდნენ. მათ შორის ყველაზე დიდ საჩინოებას (ფიგურას) დიდი მეცნიერი ნიკო მარი წარმოადგენდა. აი, რა წერს ამის შესახებ მიხაკო წერეთელი თავის საიუბილეო წერილში „აკაკი შანიძე“ (დაბადების 70 წლისთავის გამო), რომელიც დაიბეჭდა პარიზში გამომავალ კალე და ნინო სალიების მოამბე (ჟურნალ) „ბედი ქართლისაში“ (N 28 29. 06.1958. გვ. 13.).:

„აკაკი იმ ძველთა მსგავსად ვაჟკაცი იყო ყოველთვის, გულადი, შეუპოვარი, თუმცა ბუნებით მშვიდი და უწყინარი: როდესაც მან პეტერბურგში გაჯავრებულმა იხილა, რომ პროფ. ნ. მარი, საქართველოში დაბადებული და აღზრდილი, და თვით ფილოლოგიის დიდი მსახური, მისი მასწავლებელი წელთა განმავლობაში, ქართული უნივერსიტეტის დაარსებას მტრულად შეხვდა თუ რატომ, ეს საიდუმლოება განსვენებულმა თან წარიტანა, აკაკი მას არ მოერიდა და, გადაუხადა რა დიდი მადლობა წვრთისათვის ქართველთა სახელით, მკაცრად ამხოდა იგი და ისე გამოეთხოვა“.

ამავე წერილში მიხაკო წერეთელი დიდი პატივისცემით ჩამოთვლის ქართული ნაირსასიპრდნოს პირველდამარსებლთა სახელებს, ხოლო მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, განსაკუთრებულ პატივს აკაკი შანიძეს მიაგებს:

„და ამ დიდ დამწერთა შორის გამოირჩეოდა აკაკი შანიძე რაღაც განსაკვიფრებელი ენერგიით და საქმის სიყვარულით. და რაც მას ტვირთი აეკიდა დიდი საქმის დასაწყისში, თვალით გვინახავს და არ გვეგონა, თუ ამას ერთი კაცი შესძლებდა“.

პირველი სხდომა, რომელიც ქართული ნაირსასიპრდნოს (უნივერსიტეტის) დაარსების საკითხს ეხებოდა, თბილისში 1917 წლის 1 შლილობას (მარტს) გაიმართა. ამ დროს რუსეთში თებერვლის ამბოხდამხობა უკვე მომხდარი იყო. დროც, როგორც იკვეთე-

ბა, საამისოდ ხელსაყრელი ჩანდა. ბოლოს აუსრულეს ქართველობას სანუკარი ოცნება მისმა ლირსეულმა შვილებმა და 1918 წლის 8 ლხობას, ძველი სტილით 26 ტეხვრას (იანვარს), დავით ალმაშენებლის ხსენების დღეს, ქართული უნივერსიტეტი დაფუძნებულად გამოაცხადეს.

აქაც წინმავალ კაცად დარჩა აკაკი შანიძე. 1920 წელს ის გაემგზავრა სვანეთში ნაირსასიპრდნოს პირველი მივლინებით. ორი წლის შემდეგ ის და კორნელი კეკელიძე გაგზავნილ იქნენ მოსკოვში და პეტროგრადში, რათა მათ ქართული ხელნაწერები და სხვა სიძველენი სამშობლოში დაეპრუნებინათ. ამას 1924 წელს მოჰყვა მივლინება სომხეთში იქ არსებული ქართული წარწერების შესასწავლად, რამდენიმე მეცნიერთან ერთად. არსებითად ეს იყო პირველი მივლინებები თბილისის სახელმწიფო ნაირსასიპრდნოდან და უნდა აღინიშნოს, რომ მათ მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვათ.

აკაკი შანიძე წლების მანძილზე განაგებდა ქართული ნაირსასიპრდნოს სომხურ სადგომელს (1918-1930), თანამედროვე ქართული ენის სადგომელს (1919-1945, ძველი ქართული ენის სადგომელს (1945-1987). 1939 წელს არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა მაღალასამყოფლოს (აკადემიის) წევრ-შემტყობინებლად (წევრ-კორესპონდენტად), 1941 წელს კი სრულსასწავლულად (აკადემიის)

წევრ-შემტყობინებლად (წევრ-კორესპონდენტად), 1941 წელს კი სრულსასწავლულად (აკადემიის) წევრ-შემტყობინებლად (წევრ-კორესპონდენტად), 1941 წელს კი სრულსასწავლულად (აკადემიის) წევრ-შემტყობინებლად (წევრ-კორესპონდენტად), 1941 წელს კი სრულსასწავლულად (აკადემიის) წევრ-შემტყობინებლად (წევრ-კორესპონდენტად), 1941 წელს კი სრულსასწავლულად (აკადემიის) წევრ-შემტყობინებლად (წევრ-კორესპონდენტად), 1941 წელს კი სრულსასიპრდნოში. ამ წნის მანძილზე ცოტა თუ დარჩა საქართველოში სახელოვანი პიროვნება, აკაკი შანიძის ღვანდს წერილით რომ არ გამოხმაურებოდა. ეს გამოხმაურებები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჩვენში და და მათზე ხელი ყვე-

ლას თავისუფლად მიუწვდებოდა, ამიტომ მე აქ ისევ ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ, ზემოთ უკვე ორჯერ მოხმობილ, მიხაკო წერეთლის საიუბილეო წერილს მივმართავ და მკითველს გარდახვეწილი (ემიგრანტი) დიდი ქართველი მეცნიერის და ეროვნული მოღვაწის შეფასებას შევახსენებ:

„ორმოცი წელიწადია, რაც აკაკი შანიძე მოღვაწეობს ქართული ფილოლოგიის დარგში დაუღალავად. და რაც მან შექმნა, იგი დიდია და მას „დიდი ფილოლოგის“ სახელი მოუხვეჭა. ასე იხსენებენ აკაკი შანიძეს ევროპიული მეცნიერებიც, რომლებიც მის შრომებს იცნობენ. კვლევა ქართული ენის აგებულებისა, ქართული გრამატიკები, ქრესტომათიები, შედარებითი გრამატიული კვლევა ქართული ჯგუფის ენათა, და სხვა, ყოველი სილრმით ცოდნისა, სიმახვილით გონებისა და უაღრესი სისწორით მეთოდისა, ეს არის ის დიდი ძეგლი ქართული მეცნიერებისა, რომელსაც ვერც ერთი მისი ნინამორბედის ნაშრომი ოდნავადაც ვერ შეედრება. ხოლო აკაკი არ არის მარტო ენათმეცნიერი, ღრმად მცოდნე აგრეთვე მრავალ ევროპიულ და აღმოსავლეულ ენათა: იგი ამავე დროს ქართული ძველი მნერლობის მკვლევარია და რაც ამ დარგშიც მას შეუქმნია, იგი სიდიდით ეთანასწორება მის წმიდა ენათმეცნიერულ შრომებს: ხანძეტ და ჰაემეტ უძველეს ქართულ ტექსტთა აღმოჩენა პალიმფსესტებში და მათი გამოცემა, წაკითხვა და გამოცემა უძველეს წარწერათა, გამოცემა ვრცელ ლიტერატურულ ძეგლთა, როგორც მაგალითად უძველეს თარგმანთა ოთხავისა (სახარებისა) და მათი შედარება ათონის ვეერსიასთან. გამოცემა ლექსიკონთა, როგორც მაგ. სულხანსაძა რობელიანის ლექსიკონისა (პირველად განსვენებულ იოხებ ყიფშიძესთან ერთად), გამოცემა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა, აი კიდე მეორე დიდი ძეგლი ქართული მეცნიერებისა, აკაკი შანიძის მიერ შექმნა თავისუფლად მოღვაწეობს აკაკი შანიძე ირაკლი აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე დანანერები, ქართული სახარების არნადების (რედაქციების) სრულსასწავლო (აკადემიური) გამოცემა და ა.შ. საერთოდ, მან ნამოინყო და სათანადო მეცნიერული სიმაღლე მიანიჭა ქართული ენის წერილობითი ძეგლების განსჯით (კრიტიკულ) კვლევას და მეცნიერულ სიტყვათმცოდნეობით (ფილოლოგიურ) გამოცემას. მეცნიერულ-განსჯითი (კრიტიკული) დანართით აღჭურვილ ქართულ დანანერებს.



აკადემიკოსები: გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე. პალეოტინის ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკასთან

ნილი. (...) და კიდე რაოდენი სხვა ლვანლი მიუძღვის აკაკი შანიძეს ქართული ფილოლოგიის დიდ და სრულ მეცნიერებად აგებისათვის: კვლევა ქართულ დიალექტთა, გამოცემა ხალხური პოეზიის საუკეთესო ძეგლთა, დაუღალავი ლვანლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკისთვის და დადგენისთვის, და სხვა და სხვა...“

აკაკი შანიძე დაუცხრომლად იღწვოდა „ვეფხისტყაოსნის“ დანანერის დასადგენად. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რუსთაველს ენისა და ლექსიკის თავისებურებათა კვლევაში. შეადგინა პოემის სიტყვარი (ლექსიკონი) და განმარტა მასში გამოყენებული არაერთი სიტყვა. სიტყვარი ზედ დაურთო პოემის ერთერთ გამოცემას. მის სახელს სამუდამოდ დაუკავშირდა ქართული ენის უძველესი წერილობითი წყაროების სანმეტი და ჰაემეტი დანანერებს.

მისი ფუძემდებლური ნაშრომებიდან უნდა გამოიყოს ისეთი ნაშრომები, როგორებიცაა: „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1924), „სვანური უმლაუტი“ (1925) და მასთან დაკავშირებული სვანური მეტყველების ნიმუშები,

„ქართული ზმნის საქცევი“ (1927) და სხვა.

ყოველივე ამასთან და სხვასთან ერთად, აკაკი შანიძე უდიდესი სწავლებმცოდნე (პედაგოგი) იყო მან მან აღზარდა მთელი თაობები მეცნიერთა და მასწავლებელთა. სათავეში მისთა მაცადინთა დგანან დიდი ენათ-მეცნიერები არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია, აგრეთვე გიორგი წერეთელი, შოთა ძიძიგური და სხვა.

1987 წელს 100 წლის აკაკი შანიძეს შოთა რუსთაველის ფასჩინება (პრემია) მიანიჭეს. როგორც ჩანს, ფასჩინების მესვეურებს გვიან გაახსენდათ ორმან მოხუცი მეცნიერი და რაღაც სირცხვილისმაგვარი იგრძნეს. თითქოს დიდი ქართველთმცოდნისთვის, რომელმაც 1961 წელს იერუსალიმის ჯვრის საგანის კედელზე, ირაკლი აბაშიძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად, რუსთაველის ლესხატვა (ფრესკა) აღმოაჩინა, ამ ფასჩინების მინიჭება უფრო ადრე არ შეიძლებოდა!

დაკრძალეს აკაკი შანიძე ნაირსასიპრძნოს წალკოტში (ბაღში) ძველ მეგობრთა და თანამოაზრეთა გვერდით. იმ აქტში (ქმედში), რომ საქართველოში პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის დამაარსებლებს სამუდამო განსასვენებლად მათთვის ყველაზე ძვირფასი ადგილი გამოეყოთ, უთუოდ ლვთის ხელი იყო ჩარეული, თორემ მეტ-დამჯგუფებითი (ბოლშევიკური) ხელისუფლება, რომელმაც ნაირსასიპრძნოს მთავარი დამფუძნებელი დიდი ივანე ჯავახიშვილი უსინდისოდ დითხოვა უმაღლესი სასწავლებლიდან, მსგავს ფიქრს გულში როგორ გაიღლებდა.

დიდება შენსას უჭვნობ სამართალს უზეშთავსო!

აკაკი შანიძე იმთავითვე სწორ ეროვნულ გურდივზე (პოზიციაზე) იდგა. იმავე 1917 წლის დეკემბერში, მაშინ, როდესაც საქართველოს თავისუფლებამდე ჯერ კიდევ წელინადნახევარი იყო დარჩენილი, მან დაწერა ლექსი „ქართული ეროვნული ჰიმნი“, ეს არის ლექსი-გაფრთხილება, ლექსიმონოდება რომელშიც ნათლად ჩანს შემთხვევლის გულისტკივილი. ნამყური (ისტორიული) სათქმელისთვის მან გამოიყენა სალექსო გარსი (ფორმა), რომ

ქართული ეროვნული ჰიმნი

აბა, ფრთხილდ ქართველებო, მივყვეთ მამა-პაპის კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ! ნუ ვაცილებთ გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯიბოლაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!

მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ ჩვენი ქვეყნის მთა და ველი:
მზით დამწვარი ჰიჯაზები, გაყინული ჩრდილოელი,
სპარსი, თურქი, ლეკ-მოხლოლი, ბერძენი თუ რომაელი
ყველა ჩვენსკენ ისწრაფოდა, ყველა მაშრიყმალრიბელი.

იყო დრო, როს მმართველობა, სამართალი გვქონდა სხვისი,
ბალდადსა და ყარაყორუმს გზები გვედო ათას დღისი.
მტრისგან ბევრჯელ დარბეულა თბილისა და ქუთაისი,
იმედს მაინც არვეკარგავდით სული გვახლდა შოთაისი.

სად არ დგმულა ჩვენი ფესვი: სისხლი სად არ დაგვიღვრია?
ერანს, თურანს, ავღანისტანს ყველგან ჩვენი ძვლები ჰყრია.
ფიცხელ ომში გახურვებულთ ევფრატიშლა დაგვიშვრია,
ჩვენი სისხლით შეღებილი ვისლა დღესაც არის მღვრია.

ოთხი დიდი სახელმწიფო, მოგვიჭამგაგვიცვეთია:
სადღა არის ძველი რომი ან ძლიერი სპარსეთია?
არაბეთის ძლიერება, ამბობენ, დღეს ზღვის წვეთია,
ვის ახსოვან მონღოლები? სხვების ბედიც აგეთია!

სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია, როგორც ერსა.
მრავალ შავ დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა.
უსიკვდილოთ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა.
გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერთ ჩვენს ტკბილ მრავალუამიერსა.

სანამ იდენს ალაზანი, ჭოროხი და რიონ-მტკვარი,
სანამ თავზე მცველად გვადგას ცივ-გომბორი, ლიხ-მყინვარი,
არ მომკვდარა, არც მოკვდება საქართველო მოცინარი,
მეტად აღარ შემცირდება მისი სივრცე მისი მზღვარი.

აბა, ფხიზლად, ქართველებო! მივყვეთ მამა-პაპის კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალით პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯიბოლაზს, ნუ, ნუ ვაღებთ დარიალსა!



რედაქტორი: ენვერ ნიუარაძე
დაკაბადონება: პაატა ქორქია
**უწყებები – საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ათვლითი
(პერიოდული) გამოცემა
იბეჭდება აკადემიის სტამბაში**